ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლეჩხუმი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის საინფორმაციო გამოცემა №3 (74) მარტი, 2024 წელი

შეხვედრა სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში

რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული – **პაპუნა მარგველიძე** რეგიონში შემავალ მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელ პირებს შეხვდა.

სამუშაო შეხვედრაზე, თითოეული მუნიციპალიტეტის მიხედვით დეტალურად განიხილეს არსებული პროექტები, პრობლემური საკითხები და სხვადასხვა სფეროში მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებები, ასევე – იმსჯელეს საჭიროებებზე, როგორიცაა ცალკეულ მუნიციპალიტეტებში ხარისხიანი წყალმომარაგება თუ საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. ხაზი გაესვა ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მაქსიმალური კოორდინაციის აუცილებლობას, რაც ხელს შეუწყობს მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული საკითხების სწრაფად და ეფექტიანად მოგვარებას.

სახელმწიფო რწმუნებულმა დაავალა და მერებს მოუწოდა, მჭიდრო კომუნიკაცია ჰქონდეთ მოსახლეობასთან, რათა მაქსიმალურად იყვნენ ინფორმირებული მათი საჭიროებებისა და გამოწვევების შესახებ. აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია მოქალაქეების მხრიდან წამოსული პრობლემების დროული და ეფექტური გადაჭრა.

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში გამართულ სამუშაო შეხვედრას, სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეები, **ქრისტინა კობახიძე, ალუდა თუთისანი, ბერდია ჩანქსელიანი**, რეგიონული პროექტებისა და კოორდინირების სამსახურის უფროსი – **ლევან ცხვედიანი**, მოადგილესთან – **ზურაბ ლომინაძესთან** და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი – **ზურაბ ცაგურიშვილი**, მოადგილესთან – **ილია კენჭაძესთან** ერთად ესწრებოდა.

საკრებულოში

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა (27.03.2024 წელი).

სხდომა გახსნა და დღის წესრიგი გააცნო დეპუტატებს ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ **ჭაბუკი ჭაბუკიანმა**.

მიღებულ იქნა **დადგენილება**:

• „ცაგერის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მიღებულ იქნა **განკარგულებები**:

• ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიში.

• ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის 2024 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

• ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების – ქალაქ ცაგერში ყოფილი პოლიციის შენობის (ს.კ. 89.03.22.181) მეორე სართულზე მდებარე 100 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზუფრუქტი) არასამეწარმეო-არაკომერციული იურიდიული პირისთვის „ცაგერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ჯანდაცვის ცენტრისთვის“ (ს/ნ 242574576) გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

• „ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შექმნის ცნობად მიღების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №79 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

თაყვანისცემა – თქვენ!

ჩვენო ძვირფასო ქალბატონებო! – პატარებო, თინეიჯერებო, ახალგაზრდებო, თმაჭაღარებო! თითოეული თქვენგანი გაზაფხულს ჰგავხართ: ლამაზები, ფერადები, ლაღები, მჩქეფარენი, ნაზები, ძლიერები, სიცოცხლის შემოქმედნი... თქვენ აძლიერებთ ოჯახებს, სამშობლოს, სრულიად სამყაროს.

ულრმესი სიყვარულითა და პატივისცემით მოგილოცავთ გაზაფხულის დღესასწაულებს! თაყვანისცემა – თქვენ, უფლის კურთხევა და წყალობა, მხნეობა და გამძლეობა – თქვენ, მშვიდობიანი ზეცა, ბედნიერი ღიმილი და ზღვა ყვავილები – თქვენ!

გაზეთ „ლეჩხუმის“ რედაქცია

მონიტორინგის მიზნით

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერი **ლევან ზალკალიანი**, პირველ მოადგილესთან, **მამუკა ხიმშიაშვილთან** ერთად, კონტრაქტორი კომპანიის შ.პ.ს. „ჯეოექსპერტის“ წარმომადგენლებს შეხვდა, აღნიშნული კომპანია მიმდინარე წელს ტექნიკურ ზედამხედველობას გაუწევს ცაგერის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას.

შეხვედრას ესწრებოდა რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე **ალუდა თუთისანი**, აგრეთვე, იმ კონტრაქტორი კომპანიების წარმომადგენლები, რომლებიც ცაგერის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურულ პროექტებს ახორციელებენ და მერიის შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელები.

კონტრაქტორი კომპანიების წარმომადგენლებმა ინფორმაცია წარმოადგინეს მათ მიერ შესრულებულ და შესასრულებელ სამუშაოებზე.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა განსაკუთრებული აქცენტი გააკეთეს პროექტების განხორციელების ვადების და ხარისხის მონიტორინგზე.

განიხილეს დაგეგმილი და განსახორციელებელი პროექტები

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ **მამუკა ხიმშიაშვილმა**, მერის მოადგილესთან – **რევაზ ახვლედიანთან** ერთად, სამუშაო თათბირი გამართა.

თათბირს ესწრებოდნენ მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, სადაც განიხილეს მერიის სამსახურებში არსებული მდგომარეობა, სხვადასხვა სფეროებში დაგეგმილი და განსახორციელებელი აქტივობები.

მოისმინეს ინფორმაცია გაწეული სამუშაოების შესახებ. განიხილეს ინფრასტრუქტურული, სოციალური პროგრამები, ადმინისტრაციული საკითხები.

სამსახურების უფროსებმა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებისგან კონკრეტული დავალებები მიიღეს, დასახეს უახლოესი დღეების სამუშაო გეგმა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ხელშეწყობისთვის

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიაში, მუნიციპალიტეტში მცხოვრები „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს“ მორიგი სხდომა გაიმართა, რომლის თავმჯდომარეა მერის მოადგილე **რევაზ ახვლედიანი**.

სხდომაზე განიხილეს ცაგერის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

შშმ პირების ბაზის განახლება და 2024 წლის სამუშაო გეგმის გაცნობა /მომხსენებელი **დავით ჩაკვეტაძე**/.

შშმ ბავშვების უფლებების დაცვის უზრუნველყოფის შესახებ /მომხსენებელი **მირანდა სილაგაძე**/.

იგეგმება სხვადასხვა ღონისძიება მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ხელშეწყობისათვის.

ჰუმანიტარული ტვირთი გადაეცათ

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერმა **ლევან ზალკალიანმა**, მერის მოადგილემ – **რევაზ ახვლედიანმა**, საკრებულოს თავმჯდომარემ **ჭაბუკი ჭაბუკიანმა**, მოადგილესთან – **მარიკა კოპალიანთან** ერთად, ცაგერის მუნიციპალიტეტში საქართველოს „წითელი ჯვრის“ საზოგადოების მიერ, მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით შემოტანილი ჰუმანიტარული ტვირთი გაანაწილეს.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა „წითელი ჯვრის“ საზოგადოების წარმომადგენლებთან – **ანა ჭაბუკიანთან** და **გიორგი მდივანთან** ერთად, ოჯახებში გადასცეს ჰუმანიტარული პაკეტები განსაკუთრებული საჭიროების მქონე ადამიანებს.

მათ თანადგომა სჭირდებათ

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერმა **ლევან ზალკალიანმა**, მოადგილესთან – **რევაზ ახვლედიანთან** ერთად, სოფელ ქულბაქში ხანძრის შედეგად დაზარალებული ვაჟა კოპალიანის ოჯახი მოინახულა.

ოჯახს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებისგან საკვები და პირველადი მოხმარების საყოფაცხოვრებო ნივთები გადაეცა.

ვაჟა კოპალიანის ოჯახმა ცაგერის მუნიციპალიტეტისგან დახმარების სახით 10 000 ლარი მიიღო.

ასევე, მიმდინარე წელს, ხანძრისგან დაზარალებულ კიდევ ოთხ ოჯახს მუნიციპალიტეტისგან, კანონით დადგენილი წესით, ზარალის შესაბამისი ფულადი დახმარება გადაეცა.

ვაჟა კოპალიანი ამ დროისთვის დაქირავებულ სახლში ცხოვრობს, საცხოვრებლის ქირას კი ცაგერის მუნიციპალიტეტი უნაზღაურებს.

ნაჭოსა და ევროკავშირის შესახებ

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიაში, საგარეო საქმეთა სამინისტროს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრის მონაწილეებს საინფორმაციო ცენტრის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონული წარმომადგენელი **თამარ გოგოლაძე** მიესალმა და ცენტრის მიზნებსა და საქმიანობაზე ესაუბრა.

მოწვეულმა ექსპერტმა, „სამხედრო ჟურნალისტთა ასოციაციის“ დამფუძნებელმა, ჟურნალისტმა და სამხედრო ექსპერტმა **გიორგი ცხვიტავამ**, საქართველო-ნატოს ურთიერთობებზე, ამ პროცესის მნიშვნელობაზე, გამოწვევებზე, დეზინფორმაციული ნარატივების თავისებურებებზე ისაუბრა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის აქტუალური საკითხები გააცნო დამსწრეთ.

შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული პროექტის „დასავლური ინტეგრაციის შესახებ ინფორმირებულობისა და ჩართულობის გაზრდა საქართველოს რეგიონებში“ ფარგლებში გაიმართა, რომელსაც საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, საქართველოში აშშ-ს საელჩოსთან ერთად ახორციელებს.

შეხვედრას ესწრებოდნენ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები – **მამუკა ხიმშიაშვილი, რევაზ ახვლედიანი**, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები – **მარიკა კოპალიანი, გიორგი გუგავა**.

დღეგრძელობა და ჯანმრთელობა ფსფრვეს

ხელისუფლების წარმომადგენლებმა ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ორბელში მცხოვრებ უხუცეს მამაკაცს – კონია ხუბუკელაშვილს 100 წლის იუბილე მიულოცეს.

კონია ხუბუკელაშვილი დაიბადა სოფელ ორბელში, მრავალშვილიან ოჯახში (6 და-ძმა). ჰყავს მეუღლე, ორი ქალიშვილი, შვილიშვილები. დღემდე დიდი ავტორიტეტით და პატივისცემით სარგებლობს, იგი ყველაზე უხუცესი ადამიანია მთელ ლაჯანურის ხეობში.

სახელმწიფო რწმუნებულმა – **პაპუნა მარგველიძემ** პირველ მოადგილესთან – **ქრისტინა კობახიძესთან**, ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეებთან **მამუკა ხიმშიაშვილთან, რევაზ ახვლედიანთან**, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეებთან – **რეზო ხეცურიანთან** და **მარიკა კოპალიანთან** ერთად, ასწლოვანი მოხუცი პირადად მოინახულა, იუბილის აღსანიშნავად სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

სამხედრო სამსახურში გაწვევა დაიწყო

სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და რეკრუტირების ცაგერის მუნიციპალური განყოფილების მიერ (ხელმძღვანელი – კაპიტანი **გურამ ანდღულაძე**), მოხდა წვევამდელების წარდგენა ეროვნული სამხედრო სამსახურის სამედიცინო კომისიაზე.

სამედიცინო დასკვნის შესაბამისად წვევამდელები ეროვნულ სამხედრო სამსახურს გაივლიან.

16 წვევამდელი ცაგერიდან გააცილეს რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილემ **ალუდა თუთისანმა**, ცაგერის მუნიციპალიტეტის მერმა **ლევან ზალკალიანმა**, მერის პირველმა მოადგილემ **მამუკა ხიმშიაშვილმა**.

წარმატებებს ვუსურვებთ ლეჩხუმელ ახალგაზრდებს!

სუფთა გარემოს საწინდარი - ნარჩენების ეფექტური მართვა

28 მარტს დეხვირის საჯარო სკოლაში პროექტის „ნარჩენების ეფექტური მართვა სუფთა გარემოს საწინდარია“ (პროექტის ავტორი და კურატორი **ლამზირა ონიანი**) ფარგლებში შეძენილი ნაჩენების დასახარისხებელი ფერადი „სეპარატორები“ სხვადასხვა ლოკაციაზე განთავსდა.

პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულნი მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელი **ქრისტინე ჭაბუკიანი** მონიტორინგის სხვა წევრ ახალგაზრდა მასწავლებლებთან ერთად. ნარჩენების დასახარისხებელი ყუთების ტრანსპორტირებაში ჩაერთო კიდევ ერთი ახალგაზრდა მოხალისე პედაგოგი **გიგა გოგიძე**.

რამდენიმე დღის წინ მაკულატურის შესაგროვებელი ყუთი განთავსდა დეხვირის სკოლის დამეგობრებულ ლასურიაშის სკოლაში. ქაღალდისა და მეორადი ჯინსების შესაგროვებელი ყუთები განთავსდა დეხვირის საჯარო სკოლისა და საბავშვო ბაღის ტერიტორიაზე.

ნარჩენების დასახარისხებელი ყუთები განთავსდა ცაგერის რესურს-ცენტრის, საკრებულოს, სარიტუალო დარბაზ „ხვამლის“, სარიტუალო დარბაზის „დოღურაშის ხეობა“ და ბაზრის მიმდებარე ტერიტორიებზე.

პროექტის მიზანია: ეფექტიანი კომუნიკაციითა და პირადი მაგალითის საფუძველზე მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება მოხალისეობის იდეის პოპულარიზაციასა და მოხალისეობის შესახებ; ცნობიერების ამაღლება ნარჩენების მართვის მიმართულებით; ნარჩენებისაგან გარემოს დაბინძურების შემცირება; ნარჩენებით გადამამუშავებელი კომპანიების მომარაგება, მისი შემდგომი გადამუშავების მიზნით; მოსწავლეებში შრომითი, კომუნიკაბელური, მოხალისეობრივი, შემოქმედებითი, გარემოზე ზრუნვის უნარების განვითარება.

პროექტი ხორციელდება ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა: მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის“ ფარგლებში.

პროექტს „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა“ ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად – საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC) და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP).

მიმდინარეობს გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები

სოფელ ჩხუტელში აქტიურად მიმდინარეობს შიდა სასოფლო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

კლდისძირის უბანში, ე.წ. „ლომის წყლიდან“ ფოჩხიძეების უბნის მიმართულებით მოეწყობა ბეტონის საფარი, ამჟამად მიმდინარეობს შესაბამისი მოსამზადებელი სამუშაოები.

სამუშაოების მიმდინარეობის პროცესი დაათვალიერეს რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილემ **ალუდა თუთისანმა**, ცაგერის მუნიციპალიტეტის მერმა **ლევან ზალკალიანმა**, საკრებულოს თავმჯდომარემ **ჭაბუკი ჭაბუკიანმა**, მერის პირველმა მოადგილემ **მამუკა ხიმშიაშვილმა**.

პროექტის სახელშეკრულებო ღირებულებაა 377 173 ლარი.

სამუშოები მიმდინარე წლის მაისის ბოლოს უნდა დასრულდეს.

განახლებულ საბავშვო ბაღში

ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ოყურეშში, რეაბილიტირებულ საბავშვო ბაღში, სწავლა-აღზრდის პროცესი განახლდა.

შესრულებულ სამუშაოებს ადგილზე გაეცნენ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ჭაბუკი ჭაბუკიანი,** მოადგილეები – **მარიკა კოპალიანი, გიორგი გუგავა**, მერის მოადგილეები – **მამუკა ხიმშიაშვილი**, **რევაზ ახვლედიანი**, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **მაგდა ყურაშვილი**.

პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 15 252 ლარია.

პროექტის დარულების შემდეგ სწავლის პროცესი კომფორტულ სასწავლო-სააღმზრდელო სივრცეში განახლდა.

სოციალურ საკითხთა საბჭოს სხდომაზე

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიაში სოციალურ საკითხთა განმხილველი საბჭოს სხდომა ჩატარდა /თავმჯდომარე – მერის მოადგილე **რევაზ ახვლედიანი**, სამსახურის უფროსი **დავით ჩაკვეტაძე**/.

საბჭოს წევრების მსჯელობის შედეგად, კანონის შესაბამისად, დაკმაყოფილდნენ ბენეფიციარები, რომელთაც წარმოდგენილი ჰქონდათ ოპერაციის, ძვირადღირებული გამოკვლევების ჩატარების, ონკოლოგიური და სხვადასხვა მძიმე დაავადებების, სოციალურად დაუცველობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

სულ დაკმაყოფილდა 95 ბენეფიციარის განცხადება.

26 წელი გავიდა **სამსონ კოპალიანის** გარდაცვალებიდან, მაგრამ ამ წლებს მცირედითაც არ გაუფერმკრთალებია მის მიმართ სიყვარული და პატივისცემა მრავალათასიან აღზრდილთა გულებში, ახსოვთ და სიყვარულით იხსენებენ მათ ზრუნვაში გაჭაღარავებულ სამსონ მასწავლებელს. 17 წლისამ ჟურნალით ხელში შეაღო საკლასო ოთახის კარი და 81 წლის გამოეთხოვა პედაგოგის საპატიო მოვალეობის შესრულებას. 64 წელი, თითქმის მთელი ცხოვრება გაატარა მომავალი თაობების აღზრდასა და ზრუნვაში. აქედან 20 წელი ხელმძღვანელობდა ცაგერის საშუალო სკოლას. 1941-43 და 1962-1979 წლებში.

ყველგან სიკეთეს სთესდა და სიკეთეს იმკიდა. უსაზღვროდ უყვარდა ლეჩხუმი და ლეჩხუმელები, მისი საყვარელი სკოლა, აღსაზრდელები.

ამდენი წლის შემდეგ პირველად ვაქვეყნებ ცაგერის სახალხო თეატრში 1989 წელს, ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტისადმი მიძღვნილ საზეიმო შეკრებაზე მამას წარმოთქმულ სიტყვას, რითაც გვევლინება საზოგადოდ ქალთა, განსაკუთრებით ლეჩხუმელ ქალბატონთა მეხოტბედ, მათი უფლებების დამცველად, მათზე მლოცველად.

სანამ იცოცხლებენ მისი აღზრდილები, მათი შთამომავლობა, სანამ ამაყად იშრიალებს სკოლის ეზოში მისი დარგული მარადმწვანე სოჭის ტანმაგარი ხეები, მანამ იცოცხლებს და დავიწყებას არ მიეცემა მისი სახელი.

მჯერა, ახლაც გლოცავთ ზეციური სასუფევლიდან.

ჩემო ძვირფასო ლეჩხუმელებო, გისურვებთ ჯანმრთელ, ბედნიერ, ხანგძლივ სიცოცხლეს ულევი სიხარულით.

მაყვალა სამსონის ასული კოპალიანი-ჩიქოვანი,
2024 წელი. მარტი

რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგის სამსონ კოპალიანის მიმართვა ქალბატონებს!

1989 წლის 8 მარტი

ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო! კათედრაზე გამოვედი იმის სურვილით, რომ გულითადად მოგილოცოთ ქალთა საერთაშორისო დღე 8 მარტი და ამასთან ერთად ვთქვა თქვენი ქება, რომელსაც იმსახურებთ. მაგონდება უკვდავი ნოდარ დუმბაძის სიტყვები: „დარბაზში რამდენი ქალია, იმდენი ფერად-ფერადი მიხაკებისგან შემდგარი თაიგულების შეკონვაა და მათი გადაცემა უფრო ადვილია ჩემთვის, ვიდრე მოვნახო სიტყვები, რომლებიც ქალების შესაქებად იკმარებს“ – და თუ ნოდარ დუმბაძეს უძნელდებოდა, მით უფრო ძნელია ჩემთვის, მაგრამ როგორც შევძლებ, ისე ვიტყვი, ყოველ შემთხვევაში რასაც ვიტყვი, თქვენდამი დიდი პატივისცემის გრძნობით იქნება ნათქვამი.

ბევრი ტიტულია დაწერილი ამქვეყნად, ქალი აღმზრდელი, ქალი-მეცნიერი, ქალი-ხელოვანი, ქალი-დირექტორი და ა.შ. მაგრამ ყველაზე უზენაესი ტიტული დედობაა. მაშასადამე, მივესალმები დედებს, რომლებსაც დაურწევიათ აკვანი, რომლებიც ახლა ურწევენ, ან დაურწევენ მომავალში.

ვისთვის არ არის ცნობილი, რომ დედამიწაზეც არიან ღმერთები, ღმერთი პოეზიის, ღმერთი სიბრძნის, ღმერთი ხელოვნების, ღმერთი სილამაზის. მაგრამ ამბობენ, რომ დედამიწაზე დადის კიდევ ერთი ღმერთი – ეს არის ქალი – დედა, შვილების კარგად აღმზრდელი დედა.

შვილების აღზრდაზე პასუხისმგებელი არიან მშობლები, მაგრამ უპირველესად – დედა.

„ლამაზი შვილის აღმზრდელი, დედა მიცვნია ღმერთადა“ – უბრძანებია სულმნათ ვაჟას. „ერის მომავალი დედების ხელშია“ – უბრძანებია ბალზაკს. „არის უმშვენიერესი არსება, რომლის წინაშეც ჩვენ მუდამ ვალში ვართ – ეს არის დედა“ – უბრძანებია ოსტროვსკის.

თუ მრავალი შვილი ქვეყნის უკვდავებაა, თუ მრავალი შვილი მრავალი ინჟინერი და აგრონომია, მრავალი მეცნიერი და შემოქმედია, მრავალი ჯარისკაცი და გენერალია, მაშინ ამ სიმრავლის დაუშრეტელი წყაროს – დედის მიმართ გვაქვს დიდი სამადლობელი.

ერის სიმრავლეს, ერის სიმტკიცეს რომ ურყევ ბოძებად უდგახართ დედებო, ამისთვის ჩვენი რაიონის ინტელიგენციის სახელით მოგახსენებთ უღრმეს მადლობას, ამასთან გამოვთქვამ სურვილს, რომ დღითიდღე მრავლდებოდეს დედების რიცხვი, რაც გარანტიაა შვილების სიმრავლისა.

დედამიწაზე დედობის დედააზრი გამრავლებაა, ამიტომ რა ბედნიერები ბრძანდებით ქალბატონები, რომ თქვენი ოჯახის ბურჯობასთან ერთად საქვეყნო საქმის გუთნის დედაც ბრძანდებით.

ამ აუდიტორიაში ბევრ დაუოჯახებელ გოგონასა და ჭაბუკს ვხედავ. ვუსურვებ მათ დაქორწინებას და ოჯახების შექმნას იმის გათვალისწინებით, რომ ისინი მომზადებული უნდა იყვნენ საამისოდ. დიახ, უნდა იცოდნენ, რომ ქორწინება და ოჯახის შექმნა მიხაკების ღიმილი, შამპანურის ჩქეფა, საზეიმო მუსიკის მხიარული კარუსელი, მილოცვის სიხარული და ბედნიერების გადაკისკისება კი არ არის, არამედ იგი არის მომავლის სამშენებლო ქვა და ცემენტი! თუ არა დუღაბით ნაშენები ქართული ოჯახი, ისტორიის გრიგალი გადაგვხვეტავდა მრგვალი დედამიწიდან და უხსოვარში მიგვიყვანდა.

ქალი ყოველ ხალხს ამშვენებს. იგი დიდი ჯიშიანი ვარდია მინდვრის ასკილთა თაიგულში, ქალი ცისკარია მკრთალი ვარსკვლავებით მოჭედილ ცაზე, ქალი ულამაზესი სამკაულია ყოველი ოჯახისთვის, ქალაქისა თუ სოფლისთვის, ამიტომ ქალისადმი მოწიწება, თაყვანისცემა და მისი კულტად გამოცხადება ბუნებრივად გვესახება, მაგრამ ამის მიუხედავად ქალს მაინც აკლია მამაკაცისგან პატივისცემა. ავიღოთ მაგალითი: ცოლი და ქმარი ერთად მიდიან დილით სამსახურში, სამსახურიდანაც კი ერთდროულად ბრუნდებიან. ქმარი ტელევიზორს მიუჯდება, ცოლი სამზარეულოში იწყებს ტრიალს, ქმარი გაზეთებს ათვალიერებს, ცოლი ქმარსა და შვილებზე მზრუნველობს. ეს შეიძლება ყველას არ ეხებოდეს, მაგრამ გულახდილად თუ ვიტყვით – უმრავლესობას ეხება, ამისთვის მამაკაცების სახელით ბოდიშს გიხდით ქალბატონებო და სიტყვას გაძლევთ, რომ დავფიქრდებით ამ საკითხზე (პირადად მე არ მჭირდება დაფიქრება).

მე რომ მკითხოს კაცმა, ქალს თუ ბუნების ძალა დედობის უნარს არ წაართმევს, იგი შვილებს წარმოშობს და აღზრდის, მინამდე უნდა დავუკრათ თავი და მისგან მეტს არაფერს უნდა მოვითხოვდეთ, მაგრამ სამწუხაროდ არ ხერხდება ისე, რასაც თქვენ თვითონ გრძნობთ და ითმენთ. თქვენს მოთმინებას, თქვენს შრომისუნარიანობას, თქვენს სიდარბაისლეს, თქვენს გამჭრიახობას, თქვენს სინატიფეს, თქვენს შემართებას ვლოცავ სულით და გულით, უდიდესი სიყვარულით.

ვლოცავ ქალის გულს, დედის გულს, როგორც ყველაზე ჩვილს, მაგრამ ამავე დროს მეტისმეტად აფთარს. მოვიყვან ერთ მაგალითს: სამი წლის ბიჭუნა რკინიგზის ლიანდაგზე გავიდა სათამაშოდ, მას მატარებელი უახლოვდებოდა, მაყურებლებმა ყვირილი ატეხეს, შველას კი ვერავინ ბედავდა. ხალხის ხმაზე შემობრუნებულმა დედამ აფთარივით ისკუპა და შვილი მქშინავ მატარებელს გამოსტაცა. ასეთი ნახტომის გაკეთება მხოლოდ დედას შუძლია.

მაშასადამე, დედაკაცებო, დედაბოძებო, დედაბურჯებო, ლამაზმანებო, ასულებო- თქვენ ხართ ვენახი. თქვენ გილოცავთ 8 მარტის დღესასწაულს და გამოვთქვამ სურვილს, რომ ყველა თქვენგანი დასწრებოდეს მრავალ 8 მარტს, კარგი გუნება-განწყობით, მრავალჟამიერ.

ცნობიერების დონის ამაღლებისთვის

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე **მამუკა ხიმშიაშვილი** და მერის მოადგილე **რევაზ ახვლედიანი** ორგანიზაცია „მწვანე რეგიონების“ ხელმძღვანელს **რუსუდან სიმონიძეს** შეხვდნენ.

შეხვედრას ესწრებოდნენ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები – **მარიკა კოპალიანი, გიორგი გუგავა,** სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე **მამუკა ხაბულიანი.**

აღნიშნული ორგანიზაციის ჩართულობით ხორციელდება პროექტი „ენერგოეფექტურობა ცაგერსა და ლენტეხში საქართველოს ევროპასთან ასოცირების შეთანხმების ფონზე“.

პროექტის ერთ-ერთი ამოცანაა მერიებსა და საკრებულოებში დასაქმული პირების ცნობიერების დონის ამაღლება ამ მიმართულებით.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სამი სემინარის ჩატარება სამიზნე ჯგუფებთან – არასამთავრობო ორგანიზაციის, სათემო ორგანიზაციის კომერციული სტრუქტურის წარმომადგენლებთან და პედაგოგებთან, სამუშაო შეხვედრებისა და მრგვალი მაგიდების მოწყობა ცაგერისა და ლენტეხის მერიებისა და საკრებულოების წარმომადგენლებთან.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები და ორგანიზაციის თავმჯდომარე მომავალ თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ.

შესრულებულ სამუშაოებს გაეცნენ

სოფელ ქვედა ცაგერში მიმდინარეობს საჯარო სკოლის გათბობის სისტემის მოწყობის და სველი წერტილების შენობაში განთავსების პირველი ეტაპის სამუშაოები. შესრულებულ სამუშაოებს ადგილზე გაეცნენ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერი **ლევან ზალკალიანი**, მერის მოადგილეები – **მამუკა ხიმშიაშვილი, რევაზ ახვლედიანი**, საკრებულოს თავმჯდომარე **ჭაბუკი ჭაბუკიანი**, პირველი მოადგილე **რეზო ხეცურიანი**, მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი **გელა მამარდაშვილი**. პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 97 705 ლარია. პროექტის განხორციელება მიმდინარე წლის აპრილში უნდა დასრულდეს. პროექტის დასრულების შემდეგ სასწავლო პროცესი თანამედროვე ტიპის, კომფორტულ სასწავლო სივრცეში განახლდება.

დედა ყველაფერია

დედის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე

ცაგერის მუნიციპალიტეტის მთავარ ბიბლიოთეკაში გაიმართა დედის დღისადმი მიძღვნილი საღამო „დედა ყველაფერია“. ღონისძიება გახსნა მთავარი ბიბლიოთეკის დირექტორმა **ბელა საღინაძემ**, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა მუნიციპალიტეტის მრავალშვილიანი დედების ერთი ჯგუფი, ადამიანები, რომლებიც გმირულ მოღვაწეობას ეწევიან ჩვენი ქვეყნისათვის საიმედო და ღირსეული თაობის აღზრდის საქმეში.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენენ მრავალშვილიანი დედების შვილები. ლამაზი ლექსი და სიმღერა, თბილი სიტყვები, რომლებიც ბავშვებმა, მრავალშვილიანმა დედებმა, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა, კულტურული და საგანმანათლებლო საზოგადოების წარმომადგენლებმა მიუძღვნეს დედას, ლამაზი და შთამბეჭდავი გახლდათ.

ღონისძიების ბოლოს მთავარი ბიბლიოთეკის მიერ სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ მრავალშვილიან დედებს.

ღონიძიებას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ჭაბუკი ჭაბუკიანი**, მერის მოადგილე **რევაზ ახვლედიანი**, განათლების, კულტურის, სპორტის სამსახურის უფროსი **გოგი კვირიკაშვილი**.

ტურნირი ნარდში

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის ორგანიზებით, ცაგერის სასპორტო სკოლაში ჩატარდა მუნიციპალური ტურნირი ნარდში.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო თოთხმეტმა მონარდემ. მათ შორის იყვნენ ქალაქ ცაგერის და მუნიციპალიტეტის სოფლების დაწესებულებათა წარმომადგენლები.

ასპარეზობაში პირველი ადგილი დაიკავა – **კობა ქომეთიანმა** (სპორტული სკოლა).

მეორე ადგილი – **რაჟდენ ბენიძემ** (სოფელი ქვედა ცაგერი).

მესამე ადგილი – **მამუკა საღინაძემ** (სოფელი ლუხვანო).

ღონისძიებას ესწრებოდა ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **რევაზ ახვლედიანი**.

მადლობა კარგი საქმისთვის

დაიწყო ძველი სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე კაპიტალური ღობის მშენებლობა, რომელიც გვესაზღვრება ლ. ჩიქოვანის, რუსთაველის ქუჩის და ჩიხის მოსახლეობას.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ, მოსახლეობა გაუსაძლის მდგომარეობაში ვიყავით. სასაფლაოს ტერიტორიიდან ჩვენს ეზოებში გადმოდიოდა სხვადასხვა ცხოველები და ვერ ვახერხებდით მათ შეკავებას. ეს პროცესი 25 წელია გრძელდება და მართლაც ოცნებად გვექცა ამ ტერიტორიაზე ღობის გაკეთება.

ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის თაოსნობით დაიწყო ძველი სასაფლაოს შემოღობვის სამუშაოები, რის გამოც, მადლობას ვუხდით ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს ბატონ **ლევან ზალკალიანს**, მერის პირველ მოადგილეს ბატონ **მამუკა ხიმშიაშვილს**, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ **ჭაბუკი ჭაბუკიანს** და ყველა იმ ადამიანს, ვისაც წვლილი მიუძღვის ამ საშვილიშვილო საქმის განხორციელებაში. ეს აისახება როგორც მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობაზე, ასევე ქალაქ ცაგერის იერსახის გაუმჯობესებაზე.

რუსთაველის და ლ. ჩიქოვანის ქუჩის მცხოვრებლები

„ერთხელ სიკვდილი რას მიზამს, ერთხელ სიკვდილის არ მჯერა“

ელგუჯა ბენდელიანი

იმ საბედისწირო დღეს ერთი ღირსეული ლეჩხუმელი, ნაადრევად წასული მეგობარი ენდი ნემსწვერიძე დაიტირე და გამოეთხოვე. დაუჯერებელია, მაგრამ, თურმე, სიკვდილი გახლდა თან, თითქოსდა, მცირე ხნით დაგინდო, სახლამდე მიგაცილა და ...გვიან საღამოს გამოგეცხადა, დაგიმარტოხელა და ისეთი ძალით შეგატორტმანა – გაფიქრებაც კი ვერ მოასწარი, მოგერია და ... დანებდი. ასე წახვედი ჩვენგან უეცრად, მოულოდნელად, გულდასაწყვეტად.

ჩვენო, ძვირფასო მეგობარო! შენ მხოლოდ საყვარელ ოჯახსა და ახლობლებს კი არ მოუკვდი, არამედ – სრულიად ლეჩხუმს და არა მარტო ლეჩხუმს.

საოცარი ადამიანი გერქვა – გულმართალი, იშვიათი, ლაღი, სიყვარულით სავსე; მშობლიურ კუთხეზე უზომოდ შეყვარებული, მისი ისტორიის, წარსულის, ტრადიციებისა და ყოფის ზედმიწევნით მცოდნე და დამფასებელი. და თუ დღეს ვინმეს ლეჩხუმის სახე და კოლორიტი ჰქვია, შენც ეს სახელი ჭეშმარიტად დაიმსახურე.

დიდხანს გაწვალებდა ფიქრი – რაღაც განსაკუთრებული, განსხვავებული, ორიგინალური გაგეკეთებინა, რომ უკეთ წარმოგეჩინა შენი ულამაზესი და მოკრძალებული ლეჩხუმი თავისი ცნობადი შვილებით.

იდეა რეალობად აქციე და საკუთარი სახლის პირველ სართულზე, არც მეტი, არც ნაკლები, ცნობილ ლეჩხუმელთა მუზეუმი გახსენი. სათქმელად იოლია, არადა, რა ნერვები, ძიება, სული და გული ჩადე ამ საშვილიშვილო საქმეში. და ეს შესძელი დიდი სიყვარულისა და შემოქმედებითი ნიჭის წყალობით. და ეს ყველაფერი – უანგაროდ!

თავდაპირველად, საზოგადოება გაოცებული შეხვდა ამ ფაქტს, და ბუნებრივიცაა, მსგავსი პრეცედენტი არ გვახსენდება. მუზეუმმა ფუნქციონირება დაიწყო და იქიდან მოყოლებული უამრავი სტუმარი სტუმრობდა და სტუმრობს, მათ შორის უცხოელები, ტურისტები...



გახსნიდან მალევე ჩვენც გეწვიეთ. უბედნიერესი გნახეთ. არ დაგვავიწყდება, რა პათოსით, შთამბეჭდავად, სიღრმისეულად გვიყვებოდი თითოეულ ლეჩხუმელზე, მის ბიოგრაფიაზე, ისტორიასა და განვლილ გზაზე.

გულითადი მასპინძლობითაც მოგვხიბლე, როგორც ნებისმიერ შემომსვლელს, შავი და თეთრი ღვინო შემოგვთავაზე, რაც სიამოვნებით დავაჭაშნიკეთ.

დღე და ღამ მუზეუმში ტრიალებდი, სიახლეებს ეძიებდი, ამშვენიერებდი. აქ იყო შენი საუფლო და სულის თავშესაფარი.

ცალკე თემაა ძმებმა საკუთარი სახსრებით ნანგრევებიდან როგორ ააშენეთ ლაღვაშის უძველესი ეკლესია. დღეს ეს დიდებული ტაძარი ამაყად გადმოგვყურებს ჭიქელაშის მთიდან და მომლოცველიც საკმაოდ ჰყავს.

წლები კი შემოგეპარა, მაგრამ ისევ მოვლენების შუაგულში ტრიალებდი: ისევ თანამედროვე, აქტუალური, სიცოცხლის ჟინით სავსე.

ელგუჯა (გუჯა) ბენდელიანი – ლეჩხუმის მემატიანე, ქომაგი, მეხოტბე და ჭირისუფალი, უმძიმესია უშენობა ჩვენი საზოგადოებისთვის.

დღეს სრულიად ლეჩხუმია შენი ჭირისუფალი, იგი კიდევ უფრო მეტად დააფასებს შენს კეთილ საქმეებს და გამორჩეული შვილის ნათელ ხსოვნას სათუთად შეინახავს.

მზევინარ ძნელაძე, თამარ დავითულიანი

გაზეთი აიწყო, დაჯაბადონდა და დაიბეჭდა
ი/მ ბაჯური ჯილაძის მიერ.
მის: ქ. ქუთაისი, აკ. წერეთლის ქ. №186

სარედაქციო ჯოლეგია:
თამარ დავითულიანი, მზევინარ ძნელაძე,
ეკა ბენდელიანი, ირმა მუშკუდიანი

რედაქციის მისამართია:
ცაგერი, რუსთაველის ქ. №61
ტელ: 551 50 81 50; 598 95 91 11